ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსმოსის დაპყრობა გრძელდება

## მეოთხე საბჭოთა კოსმონავტი პოლკოვნიკი პავლე პოპოვიჩი კოსმოსური ხომალდით „აღმოსავლეთი-4“ გავიდა დედამიწის ორბიტაზე

## კოსმოსში მხარდამხარ, ლაღად დაფრინავენ გმირი საბჭოთა ადამიანები ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 190 (12398) | ორშაბათი, 13 აგვისტო, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

# „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ პლანეტის თავზე

### საკდესის ცნობა

1962 წლის 12 აგვისტოს 11 საათსა და 02 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-4“.

ხომალდის „აღმოსავლეთი-4“ პილოტია საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ამხანაგი პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი.

დასახული ამოცანების შესაბამისად ხომალდის „აღმოსავლეთი-4“ გაშვება განხორციელდა პერიოდში, როცა ორბიტაზე იმყოფება კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-3“, რომელიც საბჭოთა კავშირში გაუშვეს გუშინ, 1962 წლის 11 აგვისტოს. ამჟამად კოსმოსურ სივრცეში ერთდროულად დაფრინავს ორი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“, რომლებსაც მართავენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები კოსმონავტები ამხანაგები ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი და პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი.

ახლო ორბიტებზე ორი კოსმოსური ხომალდის გაყვანის მიზნებია საცდელი მონაცემების მიღება იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა უშუალო კავშირის დამყარება ორ ხომალდს შორის, კოსმონავტი მფრინავების კოორდინირებული მოქმედება, ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსური ფრენის ერთნაირი პირობების გავლენის შემოწმება.

წინასწარი მონაცემებით, ხომალდის „აღმოსავლეთი-4“ ფრენა მიმდინარეობს ორბიტაზე, რომელიც უახლოვდება გაანგარიშებულს. დედამიწის გარშემო თანამგზავრი ხომალდის ბრუნვის საწყისი პერიოდი შეადგენს 88,5 წუთს, მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეაში) და მაქსიმალური (აპოგეაში) შესაბამისად უდრის 180 და 254 კილომეტრს, ორბიტის სიბრტყის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყისადმი დაახლოებით 65 გრადუსია. ხომალდები ახლო მანძილზე იმყოფებიან ერთმანეთისაგან და მათ შორის დამყარებულია ორმხრივი რადიოკავშირი.

სახმელეთო სადგურებს ორმხრივი რადიოკავშირი აქვთ ხომალდის „აღმოსავლეთი-4“ კოსმონავტთან, რომელიც თავის გადაცემებს აწარმოებს 20,006 და 143,626 მეგაჰერც სიხშირეებზე.

ხომალდში არის აგრეთვე გადამცემი „სიგნალი“, რომელიც 19,990 მეგაჰერც სიხშირეზე მუშაობს.

კოსმონავტები ამხანაგები ნიკოლაევი და პოპოვიჩი თავს კარგად გრძნობენ.

კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-3“, და „აღმოსავლეთი-4“ ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. კვლევის გეგმით პირველად ხორციელდება ერთობლივი ჯგუფური ფრენა კოსმოსურ სივრცეში ორი საბჭოთა ხომალდისა — „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“, რომლებსაც მართავენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ამხანაგი ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი და ამხანაგი პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი.

## კოსმონავტი პ. რ. პოპოვიჩი

პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი დაიბადა 1930 წლის 5 ოქტომბერს კიევის ოლქის დაბა უზინში მუშის ოჯახში. ეროვნებით უკრაინელია.

სწავლობდა სკოლაში, შემდეგ ბელაია ცერკოვის სახელოსნო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა მაგნიტოგორსკის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ 1951 წელს, მიიღო მშენებელი ტექნიკოსის სპეციალობა.

პ. რ. პოპოვიჩი შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში. სწავლობდა სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში. მისი დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებში. იგი სამხედრო მფრინავია.

1945 წლის მარტში მიიღეს სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში. 1957 წლის ივნისიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია.

1961 წელს მთავრობის დავალების წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

კოსმონავტი ცოლშვილიანია. ცოლი — მარიამ ლავრენტის ასული ვასილიევა (ქორწინებით პოპოვიჩი) დაბადებულია 1931 წელს. სპეციალობით მფრინავია, ამჟამად მუშაობს ტექნიკოს-გამომთვლელად. ქალიშვილი ნატაშა ექვსი წლისაა.

მამა — რომან პორფილეს-ძე პოპოვიჩი დაბადებულია 1905 წელს, მუშაობს კიევის ოლქის დაბა უზინში. დედა — ფეოდოსია კასიანეს ასული პოპოვიჩი დაბადებულია 1903 წელს, დიასახლისია. და — მარიამ რომანის ასული დაბადებულია 1927 წელს, და — ნადეჟდა რომანის ასული — 1944 წელს, ძმა — ნიკოლოზ რომანის-ძე — 1946 წელს, ძმა პეტრე რომანის-ძე დაბადებულია 1937 წელს, სამხედრო მოსამსახურე — ლეიტენანტია.



კოსმონავტი პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი.



კოსმოსის გმირები პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი და ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი. სამახსოვრო 1962 წლის 11 აგვისტოდან, როცა კოსმონავტი-3 ნიკოლაევი აიჭრა ცაში, ერთი დღე და ღამეც არ გასულა, რომ მას შეუერთდა კოსმონავტი-4 — პოპოვიჩი. საბჭოთა ხომალდები „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“, რომლებსაც მართავენ ა. ნიკოლაევი და პ. პოპოვიჩი, წარმატებით განაგრძობენ კოსმოსის დაპყრობას.

• • •

სურათზე: „ზეციური ძმები“.
(ფოტო ვ. ბაზანოვისა — „იზვესტია“).

# გაფრენას განვახორციელებ ისე, როგორც კომუნისტს შეჰფერის

### კოსმონავტ პ. რ. პოპოვიჩის განცხადება სტარტის წინ

ჩემო ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო! მხოლოდ გუშინ იყო გაყვანილი ორბიტაზე კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-3“, რომელსაც მფრინავი-კოსმონავტი ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი მართავს.

დღეს კიდევ ერთი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი იმყოფება სტარტზე. მე მომანდეს დავიკავო მასში პილოტის ადგილი.

კოსმოსურ გაფრენას ვიწყებ დიდი სიამაყით ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხისათვის, რომელიც კაცობრიობას გზას უკვლევს კომუნისტური მომავლისაკენ.

დაე ეს ახალი, მეოთხე რეისი ვარსკვლავებისაკენ იყოს ჩვენი ხალხის მორიგი წვლილი მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის შემდგომ ათვისებაში.

ჩემმა „ზეციურმა ძმებმა“ პირველი კოსმოსური ტრასები გაკვალეს. ახლა ამ ტრასებით დაფრინავს „აღმოსავლეთი-3“, ხოლო მას მივყვები მე, რათა კვლავაც ავითვისოთ სამყაროს სივრცეები.

მე მზადა ვარ გაფრენისათვის და განვახორციელებ მას ისე, როგორც კომუნისტს შეჰფერის.

მალე შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო!

### ნ. ს. ხრუშჩოვის რადიოგრამა

### კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-4“

## ამხანაგ პოპოვიჩს

ძვირფასო პავლე რომანის-ძევ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მოგილოცავთ შესანიშნავ გმირობას, რომელსაც თქვენ ახორციელებთ და განადიდებთ საბჭოთა ხალხს, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

თქვენ შეიჭერით კოსმოსურ სივრცეებში ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის კვალდაკვალ და მასთან ერთად აწარმოებთ ჯგუფურ ფრენას დედამიწის გარშემო. ამ გაფრენებით საბჭოთა კავშირი პირველი უკაფავს გზას ჯგუფურ გაფრენებს კოსმოსში.

ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა შექმნეს სრულყოფილი ტექნიკა, თქვენ კი, ისევე როგორც სხვა საბჭოთა კოსმონავტებმა, ჩინებულად აითვისეთ და უნარიანად იყენებთ ამ ტექნიკას. ყველა საბჭოთა ადამიანისათვის სასიამოვნოა შეიტყოს, რომ ხომალდები „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ დაუახლოვდნენ ერთმანეთს და დაამყარეს ურთიერთკავშირი.

საბჭოთა ადამიანები აღტაცებული არიან თქვენი გმირობით, საბჭოთა კოსმონავტების გმირობით.

როცა ტელეფონით გელაპარაკეთ, მოხარული ვიყავი მომესმინა, რომ თქვენ მხნედ ხართ და კარგად გრძნობთ თავს. გისურვებთ წარმატებით დაამთავროთ ფრენა და მშვიდობიანად დაეშვათ დედამიწაზე. მოგელით ჩვენს საბჭოთა მიწაზე, რათა გადაგეხვიოთ თქვენ და თქვენს ზეციურ ძმას ანდრიან გრიგოლის-ძეს და თქვენთან ერთად ვიზეიმოთ კოსმოსური გაფრენების დამთავრება.

**ნ. ხრუშჩოვი**

1962 წლის 12 აგვისტო.

# კოსმონავტების მოხსენებანი

მოსკოვი, კრემლი

მოვახსენებთ საბჭოთა ხალხს,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს,

სსრ კავშირის მთავრობას,

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

დავალების შესაბამისად ვიწყებთ ერთობლივ ჯგუფურ ფრენას ახლო მანძილზე. ხომალდებს შორის დამყარებულია საიმედო კავშირი. ხომალდების სისტემები ჩინებულად მუშაობენ.

საბჭოთა კოსმონავტები
**ნიკოლაევი**
**პოპოვიჩი**

1962 წლის 12 აგვისტო, 12 საათი და 30 წუთი.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას

## ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

მოსკოვი, კრემლი

მოგახსენებთ — ხომალდის „აღმოსავლეთი-4“ ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. თავს ჩინებულად ვგრძნობ. ვამაყობ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებებით. მივესალმები მთელ საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი
**პოპოვიჩი**

1962 წლის 12 აგვისტო, 12 საათი და 34 წუთი.

# დიდება სამშობლოს, დიდება გმირებს!

## ისმინე, დედამიწავ! სამშობლოს, პარტიას უპატაკებენ გმირი კოსმონავტები—ანდრიან ნიკოლაევი და პაველ პოპოვიჩი

### ნ. ს. ხრუშჩოვი რადიოტელეფონით ესაუბრება კოსმონავტ ა. გ. ნიკოლაევს და ტელევიზიით უყურებს მის მუშაობას

იალტა, 11 აგვისტო. (საქინის სპეც. კორ.). [illegible]

გაიგონა ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილის, კიდევ ერთი გმირი კოსმონავტის ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის ხმა. ნიკიტა სერგის-ძემ ყურადღებით მოუსმინა კოსმონავტ მფრინავს, რომელიც ტელეფონით ესაუბრება დედამიწას და უდიდესი სისწრაფით მიჰქრის ვარსკვლავეთში. დარბაზში არიან მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც ვერ იკავებენ ბედნიერ ღიმილს. აღფრთოვანებისა და სიხარულის გრძნობას განიცდის ყველა, ვინც ამ წუთში იმყოფება ტელეფონის აპარატთან, რომლითაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ხრუშჩოვი საბჭოთა ხალხის სახელით, კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმება კიდევ ერთ „ზეციერ ძმას", პირველი კოსმონავტების იური ალექსის-ძე გაგარინისა და გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვის ღირსეულ ამხანაგს.

— მესმის თქვენი საუბარი, ამხანაგო ნიკოლაევ, — ეუბნება ნიკიტა სერგის-ძე. — მოხარული ვარ, რომ თავს კარგად გრძნობთ. თქვენ გესმით ჩემი ხმა?

ანდრიან გრიგოლის-ძე უპასუხებს:

— მოგახსენებთ კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-3" მეთაური საბჭოთა კოსმონავტი მაიორი ნიკოლაევი. ფრენა გრძელდება დაახლოებით ხუთ საათს, თავს ჩინებულად ვგრძნობ. ხომალდის ყველა სისტემა საუცხოოდ მუშაობს.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ეუბნება კოსმონავტს:

— მოხარული ვარ, რომ თავს კარგად გრძნობთ და რომ მთელი აპარატურა შეუფერხებლად მუშაობს. მოგესალმებით და ვამაყობ, რომ გამოიჩინეთ მამაცობა, როცა ასეთ ისტორიულ ფრენას ახორციელებთ!

ტელეფონით საუბარი დამთავრდა. ტელევიზიის ეკრანები ცისფერმა შუქმა გაანათა. ერთი წამიც, და თითქოს კოსმონავტი ა. გ. ნიკოლაევი ზეციდან ჩამოეშვა და აქვე იმყოფება ტელევიზიის სტუდიაში, ისე კარგად ჩანს ხომალდის „აღმოსავლეთი-3" კაბინის შიგა ნაწილი. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და დამსწრენი ხედავენ ნებისყოფიან, მამაცურ სახეს ადამიანისა — საბჭოთა კავშირის მოქალაქისა, რომელიც შესანიშნავ გმირობას სჩადის საბჭოთა მეცნიერების ახალ-ახალი წარმატებისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის. კოსმონავტი მშვიდი და გულდაჯერებულია. იგი ვერ ხედავს, რომ დედამიწიდან თვალყურს ადევნებენ, და ზუსტად ასრულებს დავალებულ სამუშაოს.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი კომენტარს უკეთებს სატელევიზიო გადაცემას:

— მართლაც, ყველაფერი შესანიშნავად ჩანს, ამბობს იგი. — მე წარწერებსაც კი ვკითხულობ ხომალდის ჟურნალზე, ვხედავ საბჭოთა კავშირის გერბს. აი ამხანაგებო, — განაგრძობს ღიმილით ნიკიტა სერგის-ძე, — ესეც უწონობის კანონი მოქმედებაში.

ყველა ხედავს, რომ კოსმონავტი თავს აბრუნებს და ხელით ფანქარს იჭერს, რომელიც მის წინ ჰკიდია, ამაგრებს ხომალდის ჟურნალის ყუაზე, რათა შორს არ გაექცეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჟურნალიც „თავისუფლად ჰკიდია" კოსმონავტის წინ და, როცა იგი ამ ჟურნალს ფურცლავს, მისი დაჭერა უხდება. ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის სახე კვლავ ძალიან კარგად, მკაფიოდ ჩანს ტელეეკრანებზე. ნიკიტა სერგის-ძე კვლავ ადევნებს თვალყურს კოსმონავტი მფრინავის მუშაობას და ხაზგასმით აღნიშნავს:

— დიახ, რასაკვირველია. ეს ნებისყოფიანი, მამაცი, გულისყურიანი ადამიანია. მხოლოდ ასეთები ხდებიან კოსმოსის გმირები!

ეკრანები ქრება. კოსმოსური ხომალდი სულ უფრო შორს და შორს მიდის. იგი მრავალჯერ შემოუვლის დედამიწას. თვითეული ასეთი შემოვლა მრავალი მეცნიერული დაკვირვებაა, ეს ახალი აღმოჩენები და ძველ აღმოჩენათა დადასტურებაა, ეს არის გმირობა, რომელიც საბჭოთა ადამიანმა ჩაიდინა.

რამდენიმე წუთით დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა ნიკიტა სერგის-ძის რადიოტელეფონით საუბარი კოსმონავტთან და სადაც შეკრებილნი მის მუშაობას უყურებდნენ, სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ყველა მხურვალედ მიესალმება ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, ულოცავენ ერთმანეთს, ისევე როგორც ამას ამ საათებში სჩადის ყველა საბჭოთა ადამიანი, ყველა ჩვენი მეგობარი მთელ მსოფლიოში. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გულთბილად ლაპარაკობს ჩვენს მეცნიერებზე, ინჟინრებზე, ტექნიკოსებზე, მუშებზე, კონსტრუქტორებზე — ყველაზე, ვინც ახლა ეხმარება კოსმონავტ ა. გ. ნიკოლაევს ატაროს თავისი ხომალდი კოსმოსში, იმათზე, ვინც თავისი შრომით ამრავლებს კომუნიზმის მშენებელი ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.



კოსმონავტი-4 პავლე პოპოვიჩი სტარტისათვის მზად არის.

ფოტო ს. ბარანოვისა, ჟურნალი „ავიაცია და კოსმონავტიკა" (სააგენტო „ახალი ამბები").

### ნ. ს. ხრუშჩოვი რადიოტელეფონით მიესალმა საბჭოთა კოსმონავტ პ. რ. პოპოვიჩს

ისევე როგორც გუშინ, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი რადიოტელეფონით დაუკავშირდა კოსმოსს. ამჯერად საუბარი წარმოებდა ახალ გმირთან, ჩვენი სამშობლოს შესანიშნავ შვილთან, კოსმონავტ მფრინავთან, პოდპოლკოვნიკ პ. რ. პოპოვიჩთან, რომელიც ახლა ახორციელებს თავის განსაცვიფრებელ ფრენას ხომალდით „აღმოსავლეთი-4" თავისი ამხანაგის, ხომალდის „აღმოსავლეთი-3" მეთაურის, კოსმონავტი მფრინავის ა. გ. ნიკოლაევის მახლობლად.

ნაშუადღევს, როცა კოსმოსურმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-4" გადაუფრინა ჩვენი ქვეყნის სივრცეებს, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა აიღო ტელეფონის მილი და გაიგონა პავლე რომანის-ძე პოპოვიჩის ხმა.

— მესმის თქვენი ხმა, ამხანაგო პოპოვიჩ, — თქვა ნიკიტა სერგის-ძემ, — კარგად მესმის! მხურვალედ მოგესალმებით, პავლე რომანის-ძევ, გილოცავ შესანიშნავ საგმირო საქმეს. ერთხელ კიდევ მივესალმები თქვენს, როგორც შევეჩვიეთ ამის თქმას, კოსმოსურ ძმას — ამხანაგ ნიკოლაევს.

— ჩვენი ქვეყანა ზეიმობს, — განაგრძო საუბარი ნიკიტა სერგის-ძემ, — მოგელის თქვენ თავის მიწაზე, რათა გადაგეხვიოს და თქვენთან ერთად გაიზიაროს წარმატება.

კოსმონავტმა მფრინავმა პავლე რომანის-ძე პოპოვიჩმა უპასუხა ნიკიტა სერგის-ძეს:

— კარგად მესმის თქვენი ლაპარაკი, ამხანაგო ხრუშჩოვ. თავს ჩინებულად ვგრძნობ. ფრენა წარმატებით მიმდინარეობს. ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს, კავშირი კარგია. მეოთხეჯერ ვუვლი გარშემო დედამიწას. ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ შევასრულო პარტიისა და მთავრობის დავალება.

ხანმოკლეა საუბარი კოსმოსის გმირ პავლე რომანის-ძე პოპოვიჩთან. ეს გასაგებიცაა. ხომალდი ხომ რამდენიმე წუთში რამდენიმე ათასი კილომეტრით სცილდება დამაკავშირებელ პუნქტს. ნიკიტა სერგის-ძემ დაამთავრა საუბარი:

— ერთხელ კიდევ მოგესალმებით, ამხანაგო პოპოვიჩ. მოხარული ვარ, რომ კარგ განწყობილებაზე ხართ, რომ აპარატურა კარგად მუშაობს, რომ მხნედ ლაპარაკობთ, გჯერათ თქვენი კოსმოსური ხომალდისა.

კოსმონავტმა მფრინავმა, პოდპოლკოვნიკმა პოპოვიჩმა მადლობა გადაუხადა ნიკიტა სერგის-ძეს კეთილი სურვილებისათვის.

— დიდად გმადლობთ, — თქვა მან, — ყველაფერს შევასრულებ, როგორც საჭიროა, რუსულად, მტკიცედ და კარგად.

საქინის სპეც. კორ.

იალტა, 12 აგვისტო.

### სამი კოსმონავტის საუბარი

თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთ-4" ორბიტაზე გაყვანისთანავე გაიმართა სამი კოსმონავტის საუბარი რადიოტელეფონით.

**მაიორი ნიკოლაევი** (ხომალდ „აღმოსავლეთი-3"-დან): — ყველაფერი ჩინებულად მიდის. ჩინებულად გისმენთ. განწყობილება ჩინებულია.

**პოდპოლკოვნიკი პოპოვიჩი** (ხომალდ „აღმოსავლეთი-4"-დან): — ვხედავ ღრუბლებში დედამიწას. ილუმინატორში მარჯვნივ ვხედავ შავ-შავ ცას. განწყობილება ჩინებული მაქვს. ყველაფერი საუცხოოდ მიდის. დედამიწაზე შეხვედრამდე!

კოსმონავტებმა ნიკოლაევმა და პოპოვიჩმა ერთმანეთს მიულოცეს კოსმოსური ხომალდების პირველი ჯგუფური გაფრენის წარმატებით განხორციელება.

**პოდპოლკოვნიკი გაგარინი** (საკომანდო პუნქტიდან): ყველაფერი ძალიან კარგად არის, მეგობრებო. გილოცავთ! დედამიწაზე შეხვედრამდე!

### გზა მშვიდობისა!

საბჭოთა კოსმონავტიკა კიდევ უფრო ღრმად შეიჭრა სამყაროს უსასრულობაში.

კოსმონავტების ნიკოლაევისა და პოპოვიჩის გაფრენა ნათლად მოწმობს ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო ზრდა-განვითარებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.

შორს აღარ არის ის დღე, როცა საბჭოთა ადამიანი დედამიწის უახლოეს და მუდმივ თანამგზავრზე — მთვარეზეც ავა.

ახლა კი ერთიღა დამრჩენია ვთქვა: გზა მშვიდობისა, მშვიდობით დაბრუნება, ჩვენო გმირო კოსმონავტებო!

**ვახტანგ ჭაბუკიანი,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი.



არ უჯერებენ თვალებსაც, იცქირებიან მალულად —

მზესაც უკვირს და მთვარესაც ეს კოსმოსური მარულა.

მხატვარი ი. კალაძე.

## გმირის სამშობლოში

### ტელეფონის ხაზზეა კოსმონავტ 4-ის სამშობლო უკრაინა, სოფელი უზინი



**გუშინდლამდე** ნათესავ-მეგობრების გარდა არავინ არ იცნობდა უზინელ ჭაბუკს პავლე პოპოვიჩს. დღეს მთელ მსოფლიოს პირზე აკერია გმირი კოსმონავტის სახელი.

ნიკოლაევისა და პოპოვიჩის კოსმოსური ესკადრილია ჩვენი ქვეყნის დიდი გამარჯვების გზით მიმავალი ესკადრილიაა.

გუშინ „კომუნისტის" კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა უკრაინაში კიევის ოლქის უზინის რაიონის ცენტრს — სოფელ უზინს. ტელეფონთან მოვიდა კოსმონავტ 4-ის მამა **რომან პორფირეს-ძე პოპოვიჩი.**

**თბილისი:** სულით და გულით გილოცავთ თქვენი უფროსი ვაჟიშვილის პავლეს გმირობას.

**რომან პორფირეს-ძე:** გულითადი მადლობა. მართალი გითხრათ, მესიამოვნა თქვენი ხმა. თბილისში ცოტა ხანს მიცხოვრია და ყოველთვის ტკბილად ვიგონებ მანდ გატარებულ დღეებს.

**თბილისი:** ძალიან გთხოვთ რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხოთ... როდის იყო უკანასკნელად პავლე შინ, სოფელ უზინში?

**რომან პორფირეს-ძე:** ამ ოთხი თვის წინათ ცოლშვილით ჩამოვიდა. ცოტა ხანს კი დარჩა.

**თბილისი:** ალბათ იცით, ყველაზე მეტად რომელ მწერალთა წიგნების კითხვა უყვარს პავლეს?

**რომან პორფირეს-ძე:** როგორ არ ვიცი. ბავშვობაში, ცხადია, ჟიულ ვერნი და უელსი. მერე პუშკინი, ტოლსტოი, ესენინი, შოლოხოვი და ფრანგი მწერალი - მფრინავი ანტუან დე სანტ-ეგზიუპერი. პავლეს თავის ბიბლიოთეკაში ყოველთვის ჰქონდა ქართული წიგნებიც — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ნახევრად ჩვენი თანამემამულის გურამიშვილის „დავითიანი" და ქიაჩელის „გვადი ბიგვა", ახლა მეტი აღარ მაგონდება.



**თბილისი:** ოდესმე თუ ყოფილა პავლე კავკასიაში ან საქართველოში?

**რომან პორფირეს-ძე:** როგორ არა, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე. უკანასკნელად წელს იყო. ჯერ შავი ზღვის პირას ისვენებდა, მერე თბილისსაც ეწვია. მანდ ნაცნობ - მეგობრებიც ჰყავს. პირდაპირ გეტყვით, მგონი, ქართველი მეგობრის მოწვევით ჩამოვიდა წელს საქართველოში.

**თბილისი:** ქართველი ხალხი თქვენთან ერთად მშვიდობიან მგზავრობას უსურვებს ჩვენს გმირ კოსმონავტებს, რომლებიც სამშობლოს სასახელოდ და სადიდებლად შეეჭიდნენ ზღვარდაუდებელ კოსმოსს.

საუბრისათვის დიდი მადლობა, ძვირფასო რომან პორფირეს-ძევ, გადაეცით თქვენი ოჯახის წევრებს კოსმონავტ-4-ის დედასა და და-ძმებს ქართველი ხალხის გულითადი სალამი.

### ნ. ს. ხრუშჩოვის რადიოგრამა კოსმოსურ ხომალდზე „აღმოსავლეთი-3" ამხანაგ ნიკოლაევს

ძვირფასო ანდრიან გრიგოლის ძევ!

დიდი სიხარულით წავიკითხე თქვენი რადიოგრამა.

მთელი საბჭოთა ქვეყანა აღფრთოვანებითა და აღტაცებით ადევნებს თვალყურს თქვენს გაფრენას. ხალხი, პარტია ამაყობენ თქვენით. თქვენი გმირობა, კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთ-3" გაფრენა, კვლავ განადიდებს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, მის ნიჭიერ და შრომისმოყვარე ხალხს, ჩვენს მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, კოლმეურნეებს.

სასიამოვნო იყო თქვენი ხმის მოსმენა და თქვენი დანახვა ტელევიზორის ეკრანზე. და თუმცა თქვენ იმყოფებით კოსმოსში უდიდეს მანძილზე დედამიწიდან, მაგრამ ჩვენმა შესანიშნავმა ტექნიკამ შესაძლებელი გახადა ძალიან ახლო დაგვენახეთ. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სულ ახლოს იყავით. ჩვენ გვესმოდა თქვენი მხნე ხმა, ვხედავდით ცოცხალ თვალებს, ხელების მოძრაობას, გიყურებდით როგორ მუშაობდით და გვიხაროდა რომ თავს კარგად გრძნობთ.

მე გესაუბრეთ, როცა დედამიწას მეოთხედ უვლიდით, მაგრამ კიდევ ცოტა ასეთი შემოვლა როდი მოგელით. სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ნიკოლაევ, წარმატებით დაამთავროთ ფრენა და ბედნიერად დაბრუნდეთ დედამიწაზე. გისურვებთ მომავალშიც ჯანმრთელობას, კარგ განწყობილებას, მხნეობას.

დარწმუნებული ვარ, რომ მალე მე და ჩემი ამხანაგები — ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები — გადაგეხვევით ჩვენს საბჭოთა მიწაზე.

11 აგვისტო.

**ნ. ხრუშჩოვი.**

## ვარსკვლავებში

### რეპორტაჟი კოსმოდრომიდან

**ს**ასტარტო მოედანი. ირგვლივ ქვიშოვანი ვაკე. აგვისტოს ცხელი დილა. ვეებერთელა მრავალსაფეხურიანი რაკეტა. ზედ მის მწვერვალზეა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-3". მოედანი ამ დილაადრიან უკაცრიელია. მხოლოდ ლითონის ფერმებს იქით, რომლებსაც რაკეტა უკავიათ, ჩანან კომბინეზონიანი ადამიანები. ეს არის სასტარტო გუნდი, რომელიც გასაფრენად ამზადებს ხომალდს.

დილაადრიან სასტარტო მოედნის ახლოს გაიხსნა სახელმწიფო კომისიის სხდომა. საქმე ეხება იმას, რომ კოსმოსში გაფრინდეს „აღმოსავლეთი-3", რომელშიც იქნება ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი.

გამოდიან სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც მოახსენებენ კომისიის თავმჯდომარეს მზადყოფნის შესახებ. მთავარი კონსტრუქტორი თითქოს ნათქვამის შედეგს აჯამებსო, ამბობს: —

— მატარებელი რაკეტა და თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი-3" გასაფრენად მზად არის. გასაფრენად მზად არის კოსმონავტიც.

კომისიამ დანიშნა სტარტის საათი. გაივლის რამდენიმე ხანი და დაწყებული დღის წკრიალა სიჩუმეს დაარღვევს რაკეტის მძლავრი ძრავების გუგუნი, რომელიც მრავალტონიან მფრინავ ლაბორატორიას გაიყვანს დედამიწის ახალი სივრცის სიღრმეებში.

ამ წუთებში, როცა რეპორტაჟის სტრიქონები იწერებოდა, სასტარტო მოედნიდან რამდენიმე კილომეტრზე პატარა სახლში გამამხნევებელ ვარჯიშს ეწეოდნენ კოსმონავტი და მისი დუბლიორი. ამას მოჰყვა გულმოდგინე სამედიცინო გასინჯვა, დილის „კოსმოსური" საუზმე. ცალკე ოთახში კოსმონავტებს კოსტიუმებს აცვამენ, ამოწმებენ გადამწოდებს, რომლებიც დედამიწაზე გადმოსცემენ მონაცემებს ვარსკვლავთმფრინავების მდგომარეობის შესახებ. სპეციალისტები შემდეგ კომბინეზონებს იცვამენ. კიდევ რამდენიმე წუთი და კოსმონავტები შედიან ავტობუსში, სპეციალურ სავარძლებში სხდებიან იქ, მანქანა მიჰქრის მოასფალტებულ გზაზე იმ ადგილისაკენ, სადაც მზეზე ბრწყინავს რაკეტის მოვერცხლისფრო — მქრქალი ფერის სხეული.

...გუშინ საღამოს, დაახლოებით სტარტამდე ნახევარი დღე-ღამით ადრე, ჩვენ ამ სახლში ვიყავით. პატარა ოთახი, რომელსაც მთელი კედლის სიგანეზე ფანჯარა აქვს, ორი საწოლი, საწოლებს ზემოთ პირველი კოსმონავტების იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის პორტრეტები, მრგვალი მაგიდა, ზედ ყვავილები, ჭადრაკი. ტუმბოზე რამდენიმე წიგნი. მასპინძლები ოთახში არ არიან და ჩვენ კოსმონავტების ექიმებმა მიგვიღეს.

— ამ ოთახში ცხოვრობდნენ გაფრენის წინ პირველი კოსმონავტები, — გვეუბნება ერთ-ერთი ექიმი. — აქ დაამთავრეს მათ უკანასკნელი მზადება სამყაროს საიერიშოდ. ახლა ამ ოთახში დროებით „გაწერილი არიან" ანდრიან ნიკოლაევი და მისი მეგობარი.

— სად ისვენებს კოსმონავტი?

— აი ამ გაგარინისეულ საწოლზე.

სახლში ხმაურით შემოდიან მეგობრები — კოსმონავტი ანდრიან ნიკოლაევი და მისი დუბლიორი.

— სტუმრები მოგვსვლია, — ხუმრობით ამბობს ნიკოლაევი, — მობრძანდით აი ამ ოთახში.

სწორედ ამ ოთახში გაიმართა ჟურნალისტთა პირველი ხანგრძლივი საუბარი ახალ, მესამე, „ზეციურ ძმასთან".

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებდა როგორ მიმდინარეობდა უკანასკნელი დღეები ხომალდის სტარტის წინ. კოსმონავტმა გვიამბო, რომ გაშვების წინა დღეები ავსებული იყო უაღრესად დაძაბული მუშაობით.

საუბარი ჩამოვარდა კოსმოსზე, მომავალ გაფრენაზე. ანდრიანი სიტყვაძვირია, უაღრესად მოკლედ და უბრალოდ ლაპარაკობს.

კოსმოსური სივრცის ათვისება უდიდესი და რთული საქმეა. საბჭოთა წინადადებებს სამყაროს ერთობლივად შესწავლის შესახებ ტყუილად არ დაუჭირეს მხარი სათანადოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში. გახსოვთ, რა კარგად, ხატოვნად ილაპარაკა კოსმოსის შესწავლის დიდი მნიშვნელობის შესახებ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა. მინდა, თქვა მან, იმედი ვიქონიო, რომ ადამიანის გენია, რომელიც სწვდება სამყაროს სიღრმეებს შეძლებს გამონახოს მტკიცე მშვიდობის გზა და უზრუნველყოს ყველა ხალხის კეთილდღეობა ჩვენს პლანეტაზე — დედამიწაზე, რომელიც კოსმოსის საუკუნეში თუმცა არ ჩანს იმდენად დიდი, მაგრამ წინანდებურადვე ძვირფასია ყველა მისი მკვიდრისათვის.

**ვ**ისმენთ ანდრიან ნიკოლაევის აუჩქარებელ ლაპარაკს და ვფიქრობთ:

— აი ჩვენი მშვენიერი საბჭოთა სინამდვილე. შორეული ჩუვაშური სოფლის უბრალო გლეხის ბიჭი მზად არის გმირობა ჩაიდინოს ადამიანთა მომავლისათვის, მათი უკეთესი ცხოვრებისათვის. ყველაფერი, რაც ახლა კეთდება, ხომ უკეთესი მომავლისათვის კეთდება და უშუალო, პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მშობლიურ პლანეტასთან — დედამიწასთან.

ჩვენ წარმატება ვუსურვეთ ანდრიან ნიკოლაევს მის მომავალ არცთუ იოლ და, პირდაპირ ვიტყოდით, ძნელ საქმეში და გამოვეთხოვეთ მას და მის მეგობარს.

...ავტობუსი გაჩერდა. იქიდან გამოვიდა ანდრიან ნიკოლაევი. იგი გამოეთხოვა მეგობარ კოსმონავტებს და აუჩქარებლად მიდის რაკეტასთან, სადაც შეიკრიბნენ სახელმწიფო კომისიის წევრები, რომელშიც შედიან მთავარი კონსტრუქტორი, კოსმონავტიკის თეორეტიკოსი, მეცნიერები, კონსტრუქტორები.

აქ, კოსმოდრომზე ჩამოვიდნენ კოსმონავტები იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი, რათა დახმარებოდნენ თავიანთ მეგობარს რჩევა-დარიგებით.

— ამხანაგო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარევ, — გვესმის კოსმონავტის პატაკი, — გასაფრენად მზად ვარ. კოსმონავტი ნიკოლაევი.

პატაკი მიღებულია. სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე გადაეხვია კოსმონავტს და გულითადად აკოცა. მას გულთბილად ეთხოვებიან, წარმატებას უსურვებენ სახელმწიფო კომისიის დანარჩენი წევრებიც.

ანდრიან ნიკოლაევი ადის ლიფტის წინა მოედანზე და ტრადიციით, რომელსაც დასაბამი მისცა იური გაგარინმა 1961 წლის 12 აპრილს, მიმართავს საბჭოთა ხალხს მოკლე სიტყვით. ეს სიტყვა ჩაიწერეს მაგნიტოფონით, რათა უფრო გვიან გადასცენ საბჭოთა ადამიანებისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა რადიოსადგურით.

— დედამიწაზე მალე შეხვედრამდე, — ამთავრებს თავის მიმართვას ანდრიან ნიკოლაევი. იგი რამდენიმე წუთს დუმს, შემდეგ ხელს უქნევს შეკრებილთ და მტკიცედ შედის ლიფტში...

ახლა გიამბობთ მთავარ კონსტრუქტორთან შეხვედრისა და ჟურნალისტებთან მისი საუბრის შესახებ. ჩვენს განკარგულებაში იყო ათი წუთი, ვეკითხებოდით მხოლოდ იმას, რაც ყველაზე მთავარი იყო.

**კითხვა:** გვიამბეთ, რა ძირითადი მეცნიერული ამოცანებია დასახული ხომალდის „აღმოსავლეთი-3" წინაშე.

**პასუხი:** ეს ამოცანები ვრცელი და მრავალფეროვანია. მთავარი ამოცანაა განვაგრძოთ შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს უწონობა ადამიანის ორგანიზმზე. რამდენად მოქმედებს ეს მოვლენა კოსმონავტის შრომისუნარიანობაზე ფრენის პირობებში. ეს მონაცემები მეტად ესაჭიროება მეცნიერებს. მათი პერსპექტიული მნიშვნელობა მეტად დიდია. ყოველი ახალი გაფრენა, უწინარეს ყოვლისა, კოსმონავტის ახალი გაფრენაა, ადამიანის ახალი ინდივიდუალობაა. ბუნებრივია, რომ ყოველი ახალი გაფრენა გვამდიდრებს ჩვენ, კონსტრუქტორებს, მეცნიერების წარმომადგენლებს ექსპერიმენტული ფაქტიური მასალით, რომელიც ესოდენ საჭიროა კოსმოსური ხომალდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მეორე მიზანია გამოვიკვლიოთ ეგრეთწოდებული ახლო კოსმოსის ფიზიკური დახასიათებანი.

და, დასასრულ, უკანასკნელი ამოცანა — კიდევ და კიდევ შევისწავლოთ ხომალდის ყველა სისტემის მუშაობა ფრენაში. მიღებულ მონაცემებს გამოვიყენებთ კოსმოსური ხომალდების კონსტრუირების დროს.

**კითხვა:** კერძოდ, რა მიმართულებით უმჯობესდებოდა ხომალდი „აღმოსავლეთი-3"?

**პასუხი:** ჩვენმა კონსტრუქტორებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ ხომალდის ფრენის საიმედოობა დედამიწის ახლო სივრცეში.

**კითხვა:** შეიძლება თუ არა ხომალდის „აღმოსავლეთი-3" გაფრენა მივიჩნიოთ მთვარის იერიშისათვის გადადგმულ ნაბიჯად?

**პასუხი:** დიახ, რამდენადმე შეიძლება, ისევე როგორც ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ჩვენი გზაა ახლო კოსმოსის შესწავლიდან შორეული კოსმოსის შეცნობისაკენ. მთვარე, უეჭველია, მომავალში ჩვენი კოსმონავტების მეცნიერული კვლევის ობიექტი გახდება.

**სასტარტო** მოედანი დაცარიელდა. სახელმწიფო კომისიის წევრები ჩაეშვნენ ბუნკერში, საიდანაც კოსმონავტს მიეცემა უკანასკნელი მითითებანი, და განკარგულება: „აფრენა!"

ჩვენ მივდივართ სათვალთვალო პუნქტზე.

**ა. რომანოვი,**
საქინის სპეციალური კორ.

კოსმოდრომი, 11 აგვისტო.



# ალტაცებულია ცა და დედამიწა

## საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა კოსმონავტების ტრიუმფს ადიდებს მთელი მსოფლიო

### გილოცავთ ახალ შესანიშნავ წარმატებას!

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-3" გაფრენამ ამერიკის საინფორმაციო სააგენტოთა და პრესის უდიდესი ყურადღება მიიპყრო. „ნიუ-იორკ ტაიმსი" „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" და სხვა გაზეთები ბეჭდავენ დაწვრილებით ცნობებსა და სტატიებს საბჭოთა კოსმონავტის ა. გ. ნიკოლაევის გაფრენის შესახებ დიდი სათაურებით მთელ პირველ გვერდზე, ბეჭდავენ კოსმონავტის დიდ პორტრეტებს.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში წერს: „ისწრაფვის რა დაამარცხოს ამერიკის შეერთებული შტატები მთვარეზე მიღწევისათვის შეჯიბრებაში, საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაუშვა ორბიტაზე მესამე კოსმოსური ხომალდი ადამიანითურთ და იმედი აქვს, რომ იგი იბრუნებს დედამიწის გარშემო რამდენიმე დღის განმავლობაში. თუ ეს ასეა, ეს გაფრენა მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ყველა adრინდელ ფრენას კოსმოსში და ახალ გზებს გაუკაფავს კოსმოსის დაპყრობას, რომლის პირველი მიზანია ადამიანის გადასმა მთვარეზე. მსოფლიო მიესალმება ახალ კოსმონავტს მაიორ ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევს; უნდა მივულოცოთ საბჭოთა კავშირსა და მის მეცნიერებს ახალი შესანიშნავი წარმატება".

მაგრამ, გაზეთი თავს ვერ იკავებს ჩვეულებრივი მტკიცებებისაგან, რომლებიც განმსჭვალულია „ცივი ომის" სულისკვეთებით. მაგალითად, იგი აცხადებს, თითქოს ნიკოლაევის გაფრენა იყოს ნაწილი საბჭოთა კავშირის „პროპაგანდისტული შეტევისა" „თავისი პრესტიჟის ამაღლების" მიზნით.

### ინგლისელ მეცნიერთა გაოცება

ლონდონი, 12 აგვისტო. (საკდესი). დღეს 9 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩით (12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით) მეცნიერებმა ინგლისის მთავარ რადიოობსევატორიაში „ჯოდრელ-ბენკში" გაკვირვებით მიიღეს ცნობა თანამგზავრიდან „აღმოსავლეთ-4". ეს იყო კოსმონავტ პავლე პოპოვიჩის მისალმება, რომელიც მან გამოუგზავნა ნ. ს. ხრუშჩოვს, მთელ საბჭოთა ხალხს. ინგლისელ მეცნიერთა გაოცება სავსებით გასაგებია: ისინი ცდილობდნენ მიეღოთ სიგნალები ხომალდიდან „აღმოსავლეთი-3" და ვერასგზით ვერ წარმოედგინათ, რომ დედამიწის გარშემო მისი გაშვებიდან ზუსტად ერთი დღე-ღამის შემდეგ მიფრინავს არა ერთი, არამედ ორი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი.

### მიღებულია კოსმონავტის ხმა

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს 12 საათსა და 30 წუთზე შუა ევროპის დროით გერმანიის ფოსტის რადიოსამსახურის ტექნიკოსებმა ბელიცაში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) შეძლეს მიეღოთ რადიოთი და ფირზე ჩაეწერათ საბჭოთა კოსმონავტის მაიორ ა. გ. ნიკოლაევის ხმა. როგორც რადიოსამსახურის ხელმძღვანელი ბერნდ კაუნე იუწყება, საბჭოთა კოსმონავტი რამდენჯერმე აწარმოებდა გადაცემას დროის მოკლე შუალედებში. 12 საათსა და 13 წუთზე რადიოსამსახურმა მიიღო სატელეგრაფო იმპულსები კოსმოსური ხომალდიდან „აღმოსავლეთი-3".

მაიორ ა. გ. ნიკოლაევის ხმა მიიღეს და ფირზე ჩაწერეს აგრეთვე ელსჰოლცის (პოტსდამის ოლქი) რადიოსაკონტროლო სამსახურის თანამშრომლებმა.

### ყურადღების ცენტრში

სტოკჰოლმი, 11 აგვისტო. (საკდესი). ელვის სისწრაფით მოედო შვეციას ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში გაშვებულია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-3", რომელშიც კოსმონავტი ა. გ. ნიკოლაევი იმყოფება. ამ ახალ ამბავს, რომელიც შვეციის რადიომ გადასცა, გაცხოველებით განიხილავს შვეციის საზოგადოებრიობა. შვედები აღტაცებული არიან სსრ კავშირის ახალი მიღწევით კოსმოსის ათვისებაში.

### სწრაფი ნაბიჯით მთვარეზე

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). დოქტორმა სმიტ-ვოუზმა, სლაუს (ქალაქი ლონდონის მიდამოებში) რადიოსაკვლევი სადგურის მეცნიერმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კოსმონავტის გაფრენა ლოგიკური ნაბიჯია კოსმოსური სივრცის კვლევაში, კერძოდ, ახალი ცნობების მიღებაში მზის რადიაციისა და ადამიანზე კოსმოსური სხივების ზემოქმედების შესახებ. მან დასძინა, რომ საბჭოთა კოსმოსურ ხომალდებსა და დედამიწას შორის კავშირის პირობები შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ხომალდზე დადგმულია საკმაოდ ძლიერი კვების წყაროები, რაც, მისი სიტყვით, აქამდე „შემზღუდველი ფაქტორი" იყო.

ცნობილმა ინგლისელმა ასტრონომმა პროფესორმა ლოველმა აღნიშნა კოსმოსური ხომალდის გაშვების წარმატება და განაცხადა, რომ ამ მიღწევის მნიშვნელობა უფრო ცხადი გახდება, როცა ცნობილი იქნება ფრენის ხანგრძლივობა. ლოველის სიტყვით, თუ, როგორც ეს შეიძლება ვივარაუდოთ, ფრენა რამდენიმე დღეს გასტანს, „ეს იქნება სწრაფი ნაბიჯი მთვარეზე ადამიანის გაფრენის განსახორციელებლად".

### მსხვილი იეროგლიფებით...

პეკინი, 12 აგვისტო. (საკდესი). „ზეცაში გაფრინდა მესამე საბჭოთა კოსმოსური ხომალდი ადამიანითურთ", „საბჭოთა კავშირში წარმატებით გაუშვეს მესამე კოსმოსური ხომალდი, რომელშიც ადამიანია" — მსხვილი იეროგლიფებით აწყობილი ასეთი სათაურებით პეკინის ყველა ცენტრალური გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს დღეს საკდესის ცნობას იმის შესახებ, რომ გაშვებულია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი"-3, რომელსაც ანდრიან ნიკოლაევი მართავს.

„ჟენმინ ჟიბაომ", „დაგუნ ბაომ" და სხვა გაზეთებმა დაბეჭდეს აგრეთვე კოსმონავტი მფრინავის ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის მოკლე ბიოგრაფია.

უკანასკნელ ცნობათა გამოშვებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო რადიოსადგური კვლავ გადასცემს ცნობებს საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-3" ფრენის შესახებ.

### ბულგარეთი ისმენს კოსმონავტების ხმას

სოფია, 12 აგვისტო. (საკდესი). სოფიის ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის მორიგე რადისტმა ნიკოლა ალექსანდროვმა 11 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით მიიღო რადიოდეპეშა, რომელიც კოსმოსური ხომალდიდან „აღმოსავლეთი-4". პავლე პოპოვიჩმა გაუგზავნა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს მოსკოვში.

13 საათსა და 07 წუთზე ადგილობრივი დროით ნიკოლა ალექსანდროვმა გაიგონა და ჩაიწერა მაგნიტოფონზე საბჭოთა კოსმონავტის ანდრიან ნიკოლაევის ხმა კოსმოსური ხომალდიდან „აღმოსავლეთი-3", როცა მან დიდი წარმატებანი უსურვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს სოციალიზმის მშენებლობაში.

### რიგგარეშე

ვენა, 12 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. ბაჟანოვი იუწყება: ავსტრიის პრესის სააგენტო განუწყვეტლივ გადმოსცემს ტელეტაიპით ცნობებს გრიფით „რიგგარეშე". სააგენტო ჩქარობს აუწყოს ავსტრიის მოქალაქეებს, რომ გაფრინდა ახალი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-4", რომელშიც არის კოსმონავტი პავლე პოპოვიჩი, აცნობოს, თუ როგორ მიმდინარეობს ხომალდების „აღმოსავლეთი-3" და „აღმოსავლეთი-4" ფრენა. ავსტრიის პრესის სააგენტოს ცნობებს საბჭოთა კოსმონავტების ფრენის შესახებ გადასცემენ ავსტრიის რადიოთი.

ვენის დღევანდელი გაზეთების პირველი გვერდები სავსეა ინფორმაციებით, რომლებიც ასახავენ ხომალდის „აღმოსავლეთ-3" გაფრენას, რომელშიც არის საბჭოთა კოსმონავტი ანდრიან ნიკოლაევი, დაბეჭდილია გმირის № 3 კოსმონავტის ფოტოსურათები.

ცნობებს ანდრიან ნიკოლაევის ფრენის შესახებ გაზეთები უკეთებენ უზარმაზარი შრიფტით აწყობილ სათაურებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე პოპოვიჩი, მისი ცოლი მფრინავი-ინსტრუქტორი მარინე და ქალიშვილი ნატაშა შინ.
ფოტო ი. სნეგირევისა, სააგენტო „ახალი ამბები".

### ამერიკის სააგენტოების დიდი ინტერესი

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). ცნობამ, რომ ორბიტაზე გაყვანილია საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთ-3", რომელსაც მართავს სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი მაიორი ა. გ. ნიკოლაევი, მაშინვე მეორე პლანზე გადაიტანა ყველა სხვა ახალი ამბავი ამერიკის საინფორმაციო სააგენტოთა გადაცემებში. ასოშიეიტედ პრესის და იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოები ელვა დეპეშებში იუწყებიან, რომ ორბიტაზე გავიდა კოსმოსური ხომალდი, იტყობინებიან კოსმოსში ახალი გაფრენის მიზნების შესახებ, იმას, რომ კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს. ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების ყველა ცნობაში ხაზგასმულია, რომ უკვე მესამე კოსმოსური ხომალდი, რომელსაც სსრ კავშირის მოქალაქე მართავს, კაფავს კოსმოსის გზას.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი მოსკოვიდან იუწყება, რომ ცნობა კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-3" გაშვების შესახებ მოვიდა, როცა მოსკოველები სამუშაო დღეს ამთავრებდნენ. რადიომიმღებიანი ავტომობილების გარშემო, წერს კორესპონდენტი, უამრავი ხალხი შეიკრიბა. მოსკოვის რადიოს ცნობას კოსმოსში ახალი გაფრენის შესახებ გაიგონებდით ყველა ღია ფანჯრიდან.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანები სიამაყით ლაპარაკობენ თავიანთი ქვეყნის ახალ მიღწევაზე. კოსმოსურ ხომალდზე, რომელსაც სსრ კავშირის მოქალაქე მართავს, კაფავს კოსმოსის გზას.

საკდესის ცნობებს კოსმოსური ფრენის მიმდინარეობისა და კოსმონავტის განწყობილების შესახებ სწრაფად ავრცელებენ ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები.

### ისმენენ მღელვარებით

პარიზი, 12 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი ლიმეილში, პარიზის მახლობლად, 11 აგვისტოს 12 საათიდან და 35 წუთიდან პარიზის დროით რეგულარულად იღებს ხომალდის „აღმოსავლეთი-3" სიგნალებს.

საკდესის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა სამეცნიერო-საკვლევ ცენტრს სწორედ იმ მომენტში, როცა იქ იღებდნენ ხომალდის „აღმოსავლეთი-3" სიგნალებს და ისმენდნენ ა. გ. ნიკოლაევის ხმას. „25 წუთის განმავლობაში, — თქვა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, — ჩვენ უდიდესი მღელვარებით ვისმენდით ამ ხმას ზეციდან".

### სასიხარულო ცნობები

ბელგრადი, 12 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. ტიტოვი იუწყება: საკდესის დამოწმებით ტანიუგის სააგენტომ სასწრაფოდ გაავრცელა იუგოსლავიის ყველა გაზეთისა და ბელგრადის რადიოსათვის ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში გაშვებულია ახალი კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-4".

ეს გმირობა, აღნიშნულია ცნობაში, მიგვაჩნია იმის დადასტურებად, რომ ძალიან მოახლოვდა დღე, როცა ადამიანი გაემგზავრება მთვარის მხარეს. დაახლოებით 12 საათზე იუგოსლავიის დროით ეს ახალი ამბავი ეთერში გადასცა ბელგრადის რადიომ იუგოსლავ მსმენელთათვის.

სპორტი

### კოსმონავტებს მიუძღვნეს

საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა კანადაში. პირად ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა ა. პეტროვი. გუნდურ ჩათვლაშიც პირველი ადგილი საბჭოთა ველომრბოლელებს ხვდათ.

ეს წარმატებანი ველომრბოლელებმა მიუძღვნეს საბჭოთა კოსმონავტებს ა. ნიკოლაევსა და პ. პოპოვიჩს.

### მძლეოსნურ ბილიკებსა და სექტორებზე

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ორი დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდსმენები, ოლიმპიური ჩემპიონები.

პირველ დღესვე ნაჩვენები იქნა მაღალი სპორტული შედეგები. მაგალითად, ცნობილმა სტაიერმა პ. ბ ო ლ ო ტ ნ ი კ ო ვ მ ა 10.000 მეტრი გაირბინა 28 წუთსა და 18,2 წამში და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. პ. ბოლოტნიკოვმა მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

საერთო ყურადღებას იპყრობდა მსოფლიო რეკორდსმენის ვ ა ლ ე რ ი ბ რ უ მ ე ლ ი ს გამოსვლა სიმაღლეზე ხტომაში. მან აჩვენა შედეგი — 2 მეტრი და 22 სანტიმეტრი და პირველობა მოიპოვა. ვ. ბ რ უ მ ე ლ ი შეეცადა გადაელახა თავისავე რეკორდი, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლო.

გუშინ გათამაშდა ჩემპიონატის 11 ოქროს მედალი. 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის უძლიერესია ო ზ ო ლ ი ნ ი, ქალთა შორის — ი ტ კ ი ნ ა. როგორც მოსალოდნელი იყო ბირთვის კვრაში პირველობა მოიპოვა თ. პ რ ე ს მ ა, სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის — ი გ ო რ ტ ე რ-ო ვ ა ნ ე ს ი ა ნ მ ა.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

### პირველი ყაიმი

როგორც ვიუწყებოდით საბჭოთა გროსმაისტერების პაულ კერესისა და ეფიმ გელერის მატჩის პირველი პარტია გადადებული იყო გელერისათვის მატერიალური და პოზიციური უპირატესობით.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიის დამთავრება. კერესი იშვიათი ოსტატობით იცავდა თავს და ყაიმს მიაღწია. დღეს გაიმართება მეორე პარტია.

### საერთაშორისო მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში დედაქალაქის „სპარტაკისა" და საბერძნეთის „ოლიმპიკოსის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1.

### ლოკომოტიველთა გამარჯვება

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკათა „ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა" და მოგილევის „ხიმიკის" გუნდები. მატჩის შედეგია 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ.







სურათებზე: კოსმონავტი-4 პავლე პოპოვიჩი. სადაც უნდა ყოფილიყო პავლე პოპოვიჩი — სამხრეთში თუ ჩრდილოეთში, იგი ყველგან ვარჯიშობდა სპორტში. 1955 წ. (სურათზე მარცხნიდან პირველი. ფოტო კოსმონავტის პირადი ალბომიდან); „თავი ხომ არ გაგიბრუვდება, შვილო"?" „ეფიქრობ, რომ არა, — ძალიან სერიოზულად უპასუხა პოპოვიჩმა კულტურისა და დასვენების პარკის მუშა ქალს (ბოლოში. ფოტო ს. ბარანოვისა. ჟურნალი „ავიაცია და კოსმონავტიკა", სააგენტო „ახალი ამბები"); უყვარს ველოსიპედი პავლე პოპოვიჩს (სურათზე მარჯვნივ. ფოტო ი. სნეგირევისა, სააგენტო „ახალი ამბები").

## იმ დილით...

პატარა ოთახში ტევა არ არის. მაგიდებზე აწყვია რადიომიმღებები, ნაირნაირი ხელსაწყოები. ნაირფერად ციმციმებენ ნათურები.

ყველანი რადიომიმღებებს როდი უსხედან. ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად დამდგარან და საუბრობენ.

დღეს რესპუბლიკურ რადიოკლუბში ყველა ერთნაირ განწყობილებაზეა. ყველას სიხარული თუ სიამაყე ჩასდგომია თვალებში. განა მართლაც სასიხარულო და საამაყო არ არის!

ჩვენი რესპუბლიკის არაერთმა რადიომოყვარულმა გამოსტაცა ეთერს ხმა — ნიშანი კოსმოსური ხომალდისა, რომელსაც კოსმონავტი ნიკოლაევი მართავს. პირველები იყვნენ რადიო-ინჟინერი გიორგი მახვილაძე და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რადიოტექნიკის კათედრის ინჟინერი რამაზ კუპატაძე.

ჩვენი საუბარიც აქვე, რადიომიმღებთან გაიბა.

— დღესაც ჩვეულებრივ ჩავერთე ეთერს, — თქვა გ. მახვილაძემ, — და განმაცვიფრა მოკლე ტალღათა გადატვირთვამ...

მალე მივაგენი იმ ტალღასაც, რომელზეც მუშაობდა ხომალდის გადამცემი „სიგნალი": 14 საათსა და 15 წუთზე თბილისის დროით 19,995 მეგაჰერცის სიხშირეზე ძალიან კარგად ისმოდა მოხმობის ნიშანი, მერე თვით კოსმონავტ ნიკოლაევის ხმაც მოისმა, თავს კარგად ვგრძნობ, ხომალდზე ყველაფერი რიგზეა, დედამიწას ვხედავო. ნიკოლაევის ხმა მკაფიოდ ისმოდა. ამ ტალღაზე მოხმობის ნიშანი კარგად ისმოდა 16 საათსა და 50 წუთამდე. მერე მიჩუმდა, მალე კვლავ აღდგა.

გადავწყვიტე დავკავშირებოდი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ რადიომოყვარულებს, მაგრამ იმ ტალღაზე, რომელზეც საბჭოთა რადიომოყვარულები მუშაობენ, „ადგილი" აღარ იყო. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ მოსკოველი და თბილისელი, ტაშკენტელი და სვერდლოვსკელი, ბაქოელი და არხანგელსკელი რადიომოყვარულები. ყველა ცდილობდა დაესწრო მეორისათვის და მიელოცა ეს სასიხარულო ამბავი. ეთერში ხშირად გაიგონებდით: „მოგილოცავთ, თბილისელებო!"

უკვე საღამოვდებოდა, მაგრამ კიდევ დიდხანს ისხდნენ რადიომოყვარულები მიმღებებთან.

* * *

სურათზე: რესპუბლიკურ რადიოკლუბში (მარცხნიდან მარჯვნივ) ინჟინერი თ. კუპატაძე, რადიომოყვარული კ. ირემაშვილი და კლუბის უფროსი რადიო-ინჟინერი გ. მახვილაძე მოხმობის ნიშანს იღებენ კოსმოსურ ხომალდებიდან.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.



## ბულგარეთის დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა

გასულ კვირა დღეს ბულგარეთის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სახალხო თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი დ. ნ. ჯუროვი, ეცნობოდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას.

12 აგვისტოს დილით დელეგაცია თელავის რაიონში გაემგზავრა. თელავის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების შემდეგ სტუმრები წავიდნენ წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში. აქ ისინი დაინტერესდნენ ზვრების მოსავლიანობით, განთქმული კახური ღვინოების წარმოების ტექნოლოგიით. ბულგარელ სტუმართა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მეურნეობაში დაცულმა ღვინოების უნიკალურმა კოლექციამ.

გენერალ-პოლკოვნიკმა დ. ნ. ჯუროვმა აღნიშნა, რომ კახეთი მოაგონებს ბულგარეთს, რომ ქართველ მევენახეთა და მეღვინეთა გამოცდილება დიდად სასარგებლოა ბულგარელი სპეციალისტებისათვის.

საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა სადილი დელეგაციის პატივსაცემად.

ბულგარელ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ თელავის რაიონის სოფელ აკურაში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. ბულგარეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროპორტში ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შეასრულეს ბულგარეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია გააცილეს: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოვალეობის ამსრულებელმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტმა მ. ვ. ლუგოვცევმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა თ. პ. სტეპჩენკომ, გენერალ-მაიორმა ი. პ. ბაბალაშვილმა და სხვებმა.

— სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩება საქართველოში ყოფნის დღეები, — თქვა დ. ნ. ჯუროვმა. — საბჭოთა კავშირში ყველგან ძმებივით მიგვიღეს. განსაკუთრებით მოხარული ვართ, რომ წილად გვხვდა ბედნიერება იმ შესანიშნავ დღეებში ვყოფილიყავით საბჭოთა ქვეყანაში, როცა დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე ზედიზედ გაყვანილია ორი კოსმოსური ხომალდი, რომელთა პილოტები არიან ჩვენი მეგობარი არმიელები. ბედნიერ ფრენას ვუსურვებთ მათ.

გენერალ-პოლკოვნიკმა დ. ნ. ჯუროვმა უსურვა საქართველოს მშრომელებს ახალი წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში. (საქდესი).

### პროვოკაციული მიზნით

დასავლეთი ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ დასავლეთ ბერლინში პროვოკაციული მიზნით ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბკე. იგი აპირებს დაჰყოს აქ ერთი კვირა და ამასთან შეასრულოს თავისი პრეზიდენტის ფუნქციები.

მისი მოგზაურობის მთავარი მიზანია მონაწილეობა მიიღოს წამქეზებლურ ღონისძიებებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლებიც დასავლეთ ბერლინის სენატმა წამოიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ 13 აგვისტოს სრულდება წლისთავი, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადამწყვეტი ღონისძიებანი თავისი საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფისათვის. 13 აგვისტოს ლუბკე განცხადებას გააკეთებს დასავლეთ ბერლინის რადიოთი და ტელევიზიით.

## მდგომარეობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). საინფორმაციო სააგენტოები ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, რომ გრძელდება საშინაო პოლიტიკური ვითარების გამწვავება არგენტინაში.

გუშინ პრეზიდენტმა ხოსე მარია გიდომ არმიის ახალ სახელმწიფო მდივნად დანიშნა გენერალ-ლეიტენანტი ედუარდო სენორანსი. მაგრამ არმიის ნაწილებმა გენერალ ტორანსო მონტეროს სარდლობით, რომელმაც ადრე ამბოხება მოაწყო და მიაღწია არმიის წინანდელი სახელმწიფო მდივნის გენერალ ლოსას გადადგომას, უარი თქვეს ცნონ გენერალ სენორანსის დანიშნვა.

ამბოხებული ჯარები დაიძრნენ ბუენოს-აირესისაკენ. ამავე დროს ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით დაიძრნენ დედაქალაქისაკენ მთავრობის ერთგული ჯარები.

გუშინ საღამოს პრეზიდენტმა გიდომ რადიოთი და ტელევიზიით მიმართა არგენტინის მოქალაქეებს და მოუწოდა, „არ დაუშვან, რომ ეს დრამატული მომენტი ტრაგედიად გადაიქცეს". პრეზიდენტის მოწოდებით მეზღვაურები და საზღვაო ქვეითი ჯარი შევიდნენ დედაქალაქში, რომ ხელი შეუშალონ არმიის მტრული ნაწილების შეტაკებას.

არმიის ამბოხებული ნაწილების ხელმძღვანელმა გენერალმა ტორანსო მონტერომ თავი მთავარსარდლად გამოაცხადა და თავის მთავარ ბინად გადააქცია შტაბი, რომელიც მხარს უჭერს მის პირველ ქვეით დივიზიას ბუენოს-აირესში.

ახლად დანიშნულმა არმიის სახელმწიფო მდივანმა გენერალმა ედუარდო სენორანსმა და თავდაცვის მინისტრმა ხოსე ლუის კანტილიომ გიდოს გადასცეს თხოვნა გადადგომის შესახებ.

### კიდევ ერთი მარცხი

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, იმან, რომ ბონის მთავრობას არ სურს ბოლო მოუღოს პროვოკაციებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ მატარებლის პერსონალის მიმართ, რომელიც დასავლეთ ბერლინსა და ავსტრიას შორის დადის, შეუძლებელი გახადა ამ მატარებლის შემდგომი მოძრაობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო რკინიგზას, ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის რკინიგზებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ რკინიგზით მიმოსვლა დასავლეთ ბერლინიდან ავსტრიაში მომავალში განხორციელდება არა დასავლეთ გერმანიის გავლით, არამედ ჩეხოსლოვაკიის გავლით.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). ნატოს მთავარმა ბინამ პარიზში გამოაცხადა, რომ ინგლისმა, ნორვეგიამ, დანიამ და თურქეთმა შექმნეს კონსორციუმი ამერიკის რაკეტის „ბულპაპის" წარმოებისათვის ევროპაში, იუწყება რეიტერის სააგენტო. რაკეტა განკუთვნილია სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ გამოსაყენებლად.

შეერთებული შტატები ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ კონსორციუმს, რომელიც თავდაპირველად გამოუშვებს „რამდენიმე ათას" რაკეტას, განაცხადა ნატოს წარმომადგენელმა. რაკეტის წარმოებაში მონაწილეობას მიიღებს ოთხივე ქვეყანა. საბოლოო აწყობა მოხდება ნორვეგიის ერთ-ერთ ქარხანაში.

□ ბუდაპეშტი, 11 აგვისტო. (საკდესი). კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-3" გაშვება კოსმონავტ ა. გ. ნიკოლაევითურთ, უნგრელმა რადიომსმენელებმა გაიგეს საკდესის ცნობის გადაცემის უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ. კოშუტის სახელობის რადიოსადგურმა შეწყვიტა თავისი პროგრამა, რათა ეთერში გადაეცა ცნობა — ელვა. პირველი საათის განმავლობაში ეს ცნობა მიკროფონთან სამჯერ წაიკითხეს. და, როგორც ეს ხდებოდა აქამდე ასეთ შემთხვევებში, აღმაფრთოვანებელი ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა. ხომალდის „აღმოსავლეთი-3" გაშვება საუბრის მთავარი თემა გახდა ქუჩებში, კაფეებში, პლაჟებზე, სადაც სამუშაო დღის შემდეგ ქალაქის ათასობით მშრომელი მიისწრაფვის.

საღამოს გაზეთმა „ეშტი ხირლაპმა" ხელახლა დააკაბადონა თავისი გვერდები. პირველ გვერდზე დაბეჭდილია დიდი სათაური: „კოსმოსის ახალი მოგზაური მაიორი ნიკოლაევი", საკდესის ცნობა კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-3" გაფრენის შესახებ, კოსმონავტის პორტრეტი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ЗГ 04160 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.